№ 24 იანვარი 31, ხუთშაბათი 1891 იანვარი 31, ხუთშაბათი № 24

| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია" პირველ თებერვლიდგან წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამით, როგორც ამ წლის. ფასი „ჯეჯილისა" ტფილისში დატარებით ერთის წლით—3 მან., ტფილის გარეთ გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტ ფ ი ლ ი ს შ ი—„წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის" რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქ უ თ ა ი ს შ ი—ვ. ნიკოლაძისას.

3) გ ო რ შ ი—ევ. ფურცელაძისას.

4) ბ ა თ უ მ შ ი—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად ჰსთხოვს ყოველს, ვისაც-კი მოეპოება ან შეჰკრებს ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ლეგენდებს, ლოცვებს, შელოცვებს, ცრუ-მორწმუნებებს,—გამოუგზავნოს ამხანაგობის გამგეობას დასაბეჭდად „ხალხურ ზეპირ-სიტყვაობათა" კრებულში.

კრებულში შეტანილს ზეპირ სიტყვაობასთან აღნიშნული იქმნება სახელი და გვარი შემკრებისა, თუ ამას მოისურვებს იგი. ადრესი: Тифлисъ правленію Грузинскаго издательскаго товарищества. (5—5)

ტფილისი, 30 იანვარი

გათავდა არჩევანები ქალაქის ხმოსანთა, გამგეობა ქალაქის თვითმართველობისა შესდგა და ყოველ ამით გამოწვეული ფიცხი და ზოგჯერ წრეს გარედ ატაცებული ლაპარაკიც მისწყდა, განელდა და ადგილი დაუთმო ჭკუა-დამჯდარს მსჯელობას იმ კაცებისას, რომელთაც არჩევანების გათავებით არ გაიგრილეს გული საქალაქო საქმეების მიმართ და რომელნიც არჩევანებს უყურებენ და სამართლიანადაც, როგორც ერთად ერთს ღონეს ქალაქის საქმეთა განწყობისას, მიმართვისას, ასე თუ ისე კეთებისას და წარმოებისას. მაშასადამე, საკვირველი არ არის, რომ პირველი და უპირატესი საგანი დღევანდელის მსჯელობისა საზოგადოებაში ის არის, რომ კარგად გამორკვეული იქმნას,—რა მოხდა და რის მომასწავებელია ყოველივე, რაც მოხდა და მოგვიტანა ამ არჩევანებმა.

სალის და მიუდგომელის თვალით რომ შევხედოთ მას, რაც მოხდა და მომხდარი რის მომასწავებელია, დავინახავთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა საჭიროდ დაინახეს და თვისდა სასარგებლოდ იცნეს გაეახლებინათ ქალაქის საბჭო, სხვა ახალის ნაკადულისათვის საბჭოში გზა მიეცათ და მით აქამდე უფილი და ყოველ საქმის ერთნაირად წამწყმედი ერთ-სახობა, ერთ-გვარობა საბჭოსი მოესპოთ. სხვა აზრი ამ არჩევანებს არ უნდა ჰქონდეს, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ არჩევანებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა, თუ არ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა.

მართალია, ამ კეთილს და სამართლიანს სურვილს მოქალაქეებისას ზოგიერთებმა თავისებური გვამლი შეუბოლეს, რომ ცხადი და მართალი სურვილი ამომრჩევლებისა კაცს არ დაენახვოს, სახე და მიმზიდველობა შეუმალონ და მოქალაქეთა შორის აზრუ გაუტეხონ. ამისათვის ამ ზოგიერთებმა ხელი ჩაჰკიდეს იმისთანა საგანს, როგორც, მაგალითებრ, ეროვნებაა, რომელსაც დიდი გზა და ავალა აქვს ყოველ გვარ ქსელის გასაბმელად და ეს არაფერს შუაში მყოფი ეროვნება ხიდად გაიდეს, რომ სხვა-და-სხვა თესლის მცხოვრებნი ერთმანეთს დააჯახონ სამტროდ, ერთმანეთის წეწვა-გლეჯად და მით მათი თვალი საერთო საქმეს ქალაქისას მოაშორონ. ამ ვაჟბატონებს მით უფრო მოუხერხდათ ამ სამარცხვინო ხიდის გადება, რომ ამ არჩევანებმა დიდი მონაწილეობა მისცა ქართველებს საბჭოში. რიგიანმა სომეხმა ამ ქართველების საბჭოში შესვლა, რასაკვირველია, საამურად მიიღო და არამც თუ იხამუშა, არამედ ჰკვირობდა კიდეც რატომ აქამდისაც არ იყო ესეო, ხოლო ტერაცუები მესდგნენ ყალხზედ, ვაჰ, ქალაქი ჩვენია და ქართველებს ქალაქში რა ხელი აქვთო. ამათ ისე შეჰხედეს ამ არჩევანებს, რომ ჩვეული ბატონობა ქალაქში გვერთმევა და ქართველები იჩემებენო.

შეჰხტა და შემოტრიალდა ტერაცუობა, რომელთანაც ჭკუა დამჯდარს და რიგიანს სომხობას არავითარი ურთიერთობა არა აქვს,— და სხვა რო ვერა იხერხა-რა ბოლოს ისა სთქვა, რომ აბა ქალაქის საქმეში რა შესატანია ეროვნება, ეროვნებაზე აქ გრინტიც არ უნდა დაიძრასო. ეს, რასაკვირველია, იმ ანგარიშით უნდა იყოს თქმული, რომ აქამომდე ტფილისში გაბატონებულს ეროვნებას არავინ იერიშის მიტანა არ გაუბედოს და ტერაცუებსაც ხომ სხვა არა უნდათ-რა. ამ სახით, ამისი მთქმელი თუმცა სოროში ჰძვრება, მაგრამ კუდი-კი გარედ ჰრჩება და საქმეც ეს კუდია: ოღონდ-კი ხალისი იყოს, თორემ როცა გნებავთ ხელს წაავლებს კაცი და სოროში შემძვრალს ჩხავილით გარედ გამოათრევს.

სირცხვილია, რომ კაცი ამისთანა ფეხის ხმას აჰყვეს. აქ არავითარი მიხვევ-მოხვევა საჭირო არ არის. მოქალაქეების სურვილი ცხადად მეტყველებს ამ არჩევანებში. აქ სომხობა ცალკე და ქართველობა ცალკე-კი არ ირჩევდა კაცებს საბჭოსათვის, არამედ შეძლებულობა და შეუძლებელობა მოქალაქეთა. დღეს აქამომდე ქალაქის საბჭოს მეიდანი ხელთ ეჭირათ მარტო შეძლებულთ მოქალაქეთა, ხოლო შეუძლებელთ საბჭოში წარმომადგენელნი ან სულ არა ჰყვანდათ, ან თუ ჰყვანდათ, თითო ოროლა, რომელთა ხმა იკარგებოდა მრავალთა შორის. ეს შეუძლებელთა რიცხვი უფრო მომეტებული ნაწილია როგორც ყველგან, ისეც ტფილისშიც და ვის რად უკვირს, რომ ამ მომეტებულმა ნაწილმა თავის ქალაქში ხმის ამოღება მოინდომა და საბჭოში ფეხის შედგმა.

ამ შეუძლებელობამ და შეძლებულობამ, ქონებითმა ღონემ და უღონობამ წელს ორად გაჰყო ამომრჩეველთა რიცხვი და წლევანდელი არჩევანები ამ ორ ბანაკის ბრძოლის შედეგია. ერთისა და მეორის ბანაკის კაცნი აქ მოქმედებდნენ განურჩევლად იმისა თუ, ვინ სომეხია და ვინ ქართველი. აქ ერთის მხრით მოიყარეს თავი შეძლებულთა მომხრეთა და მეორის მხრით შეუძლებელთა. არჩევანების კენჭმა დაგვანახვა ყველას რამოდენა ადგილი დაიჭირა განახლებულ საბჭოში შეუძლებელთა წარმომადგენელ ხმოსნობამა და აი სად უნდა ეძიოს კაცმა მიზეზი იმ სიამოვნებისა, რომლითაც ყოველი გონიერი ქართველი თუ სომეხი მიეგება ამ არჩევანებს, როცა მისი შედეგი გამოცხადდა.

დღეს ჩვენდა სასიქადულოდ ვხედავთ, რომ შეუძლებელთა მცხოვრებთა, ესე იგი, ტფილისის უმრავლესთა მკვიდრთა იმედად იგი ხმოსნები შეიქმნენ, რომელთა შორის ქართველობა დიდს უმრავლესობას შეადგენს. დღეის ამას იქით ტფილისის საბჭოს თავისი კუთვნილი ღირსება და თვისება მიენიჭა. დღეის ამას იქით ორი დიდი დენა აზრთა იწყებს აქ ერთმანეთთან გამკლავებას. ერთის მხრით ინტერესები შეძლებულთა და მეორის მხრით შეუძლებელთა არ მისცემს არავის ნებას ყური მოუყუროს ქალაქის საბჭოს საქმეთა და ყოველს განაჩენს გამგეობისას, თუ ვისიმეს განუსჯელად და განურჩევლად «ბალი, ალა», უძახოს.

ამ ინტერესების ერთმანეთთან შეწონება, შეფერება და მოთავსება, ერთმანეთთან სამართლიანი მორიგება მწვადისა და შამფურის— საცა შესაძლოა—დაუწველად შეადგენს ერთად-ერთს სიბრძნეს ქალაქის თვით-მართველობის მოხელეობისას და გამგებელობისას. აწ განახლებულს საბჭოს ამ სიბრძნემდე მისაღწევად დღეს გზა გახსნილი აქვს, რადგანაც ისეა შემდგარი, რომ ყოველმა საქმემ ჯერ ბევრი დამი უნდა იხადოს ორ ცეცხლს შუა ტარებითა, ვიდრე თავს გაიტანს ბოლომდე ქალაქის საერთო სასარგებლოდ.

აი რა მოახდინა აწინდელთა ხმო-

# ფელეტონი

## ფშაველი და ფშავლები

(ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

ცოლ-ქმრობა და კაც-დედაკაცის ურთიერთობა ფშავში.

(შემდეგი*)

ხარ-ცხვარი მარტო ქალის პატრონის საკუთარი „პატივი" არ იყო, ორივე „სოფლისთვის", მეზობლებისათვის უნდა დაეკლა, მარტო ოდენ ქალის პატრონის მიერ მისი მოხმარება დასაძრახისი იყო და არის დღესაც იმათთვის, ვინც ამ ჩვეულებას მისდევს. როგორც ქალის მოტაცებისათვის, ისე მოტაცებულის წასართმევად და უკან დასაბრუნებლად 6—10 კაცი შეიყრებოდა „ჯარად" და შეიარაღებულები წავიდოდნენ. თუ გზაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ შეტაკება მოუვიდოდათ, მეტადრე ძველს დროში, და ხშირად „სისხლითაც" გათავდებოდა ხოლმე საქმე. თუ ქალის მოტაცებლები მოტაცებულ ქალითურთ საქმროს სოფელში შეასწრობდნენ, მაშინ „მდევარი" სოფელში მიდიოდა და რადგან აურზაური და პირდაპირ მომტაცებლის სახლში მიხტომაც არ შეიძლებოდა, ამისთვის რომელსამე ნაცნობის სახლში დადგებოდა და იქიდგან გაიმართებოდა ქალის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკება, თუ საქმრო მდევარს გზაშივე „ხარ-ცხვარსა" და შერიგების შუაკაცებს არ მიაგებებდა. ქალის პატრონს შეუძლიან ხარ-ცხვარი ან სრულიად არ მიიღოს, თუ მორიგება არა სურს, ან მიიღოს „საუპატიურო" ჯარიმად, ქალის დაბრუნებაც მოითხოვოს და, ძალით იქნება, თუ ნებით, დაიბრუნოს.

ჩვენს დროში მოტაცებულის ქალის განთავისუფლება და მშობლების სახლში დაბრუნება თითქმის მხოლოდ ქალის სურვილზეა დამოკიდებული. ქალი უეჭველად პატრონს უნდა აჩვენონ და თუ თანხმობას გამოაცხადებს მომტაცებელთან შეუღლებისას, მაშინ პატრონი იმის სურვილს იშვიათად თუ გაუწევს წინააღმდეგობას, ქალს თავს დაანებებს. თუ შეურიგდა და არ მოიკვეთა, მხოლოდ „ცოდვას მოიხდის" მის წინაშე: „თუ რამ გაგიპირდეს შენგან ამორჩეულ ქმრის სახლში, მე უბრალო და უცოდველი ვიყო, ნურაფერი მეცოდვებოდეს" და სხვ... თუ ქალის მომტაცებელი გაჯიუტდა და არ აჩვენა ქალი დედ-მამას, ესენი მხოლოდ მაშინ მიჰმართავენ ეხლანდელს სამართალს.

ქალის „თხოვა-გათხოვება" ჩვეულებისამებრ შეიცავს სამს გარემოებას. ეს სამივე ერთმანეთს მოსდევს და სხვა-და-სხვა სახელ-წოდება აქვს. პირველია ქალის თხოვის „დაიმედება", როცა პირველად მისულს შუაკაცს ქალის მთხოვარისას ქალის პატრონი თუმცა პირდაპირ-კი არ უცხადებს თანხმობას ქალის მითხოვებისას, მაგრამ ლაპარაკში გაკვრით ეტყვის და აგრძნობინებს, რომ თავის დროზედ იქნება დაეთანხმდეო. დაიმედებას მოჰყვება „აგრეობის" თქმა, როცა დაიმედების შემდეგ კიდევ მივა შუაკაცი. „აგრეობა" პირდაპირ გამოცხადებული თანხმობაა ქალის მითხოვებისა, პირობის მიცემისა და ნიშნობის დროს დანიშვნა. მესამე და უკანასკნელია დანიშვნა, „ლიშნის დაჭერა". „ლიშნის დაჭერით" საქმე საბოლოოდ რიგდება და არც სინიდისიანს მთხოვარს და არც გამთხოვებელს ნება არა აქვთ ლიშნის დაჭერას რაშიმე ეცრუონ. პირველიდგან დაწყებული სამივე გარემოება ახალ სამძახლოდ ერთმანეთთან მოვალეობით აკავშირებს ამ ნაირად: დაიმედების გაუქმება და „გადათქმა" უფრო ადვილია „აგრეობის" გადათქმაზედ და „აგრეობის" გადათქმა ნიშნობის გადათქმა - დარღვევაზედ უფრო ძნელია.

არამც თუ ძნელი, ეს უკანასკნელი თითქმის შეუძლებელი ყოფილა ძველს დროში. ამ შემთხვევაში ქალის მთხოვარ ვაჟისთვის ერთად-ერთი სახსარი ქალის მოტაცება-ც ყოფილა საცოლეს წართმევით გასირცხვილიანების თავიდგან ასაცილებლად, მეტადრე თუ სხვა მოცილე მთხოვარიც ვინმე აღმოუჩნდებოდა და ან ფშაველის სამართალი ქალს არ აკუთვნებდა. „აგრეობის" თქმასვე უდრიდა ის გარემოებაც, თუ ქალის პატრონი მარჭაკალს სახლში მიიპატიჟებდა და მისგან მოტანილს პურსა სჭამდა და ღვინოს დალევდა. აგრეობის თქმის შემდეგ, თუ ქალის პატრონი „სიტყვას გადასთქვამდა" და უარს ეტყოდა, ეს მთხოვარისთვის შეურაცხებად ითვლებოდა, ამის გამო მიჰმართავდა ლაშარში თემის „ბჭეებს", „სამართალს", რომელიც შესდგებოდა ხევის ბერების და სხვა უფროსის კაცებისაგან, და სთხოვდა საქმე გაესამართლათ, გაეხადათ ვალდებულად ქალის პატრონი, რომ ქალი მისთვის მიეთხოვებინა. ბჭეები არ მიჰხედავდნენ არც ქალის სურვილს და არც იმის მშობლებისას; ისინი მხოლოდ იმას გამოიკვლევდნენ, ქალის პატრონმა მის-

*) იხ. „ივერია", № 22.

სანთა არჩევანებმა და მომხდარი რის მომასწავებელია. აი, ჩვენის ფიქრით, რა მნიშვნელობა აქვს წლევანდელს არჩევანებს. აი რა მოიგო თვით საბჭომ, რომელიც ვითარცა წარმომადგენელობა ქალაქისა, დღეს უფრო სავსეს და სრულს სახეს, გულს და ვითარებას მთელის ქალაქისას წარმოადგენს, ვიდრე აქამომდე და მით, რასაკვირველია, მეტი სიცოცხლე, მეტი ხალისი მიეცემა თვით საბჭოს და მეტი სიმართლე, მეტი წინდახედულობა, მეტი სიბრძნე მის განაჩენთა და მის საქმეთა. ქალაქისათვისაც საერთო სანატრელი ეს არის. და რად უკვირთ, რომ ყველა კონიერ მოქალაქეს უხარიან, რომ ქალაქმა, განაახლა რა უწინდელი საბჭო, კარგა მოზდილი ბიჯი გადასდგა თავის სამართლიან სანატრელის მისაღწევად და სამაგისოდ ახალნი კაცნი, ახალნი მოღვაწენიც მოიპოვა და შეიყვანა საბჭოში.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის პირველ კლასსიკურ გიმნაზიის უმთავრეს კლასის შეგირდები გუშინ-წინ დილით სამხედრო გიმნასტიკის მასწავლებელმა თოფის სროლის სასწავლებლად ვერის იქით დიღმის მინდორზე წაიყვანა და ნაშუადღევის ორს საათზე უკან დაბრუნდნენ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზით ამ დღეებში ტფილისიდგან გაჰგზავნეს 2,400 ფუთი ბამბა, რომელიც იმიერ კასპის მხარეს და ერევნის გუბერნიაშია ნაყიდი უცხო ქვეყნების სხვა-და-სხვა ფირმის მიერ. ეს ბამბა საცდელად პირველად გამოიწერეს საფრანგეთში.

*** ექიმი მაისურიანცი, როგორც შევიტყეთ, საიმპერატორო სამკურნალოს საზოგადოების პირველსავე სხდომაზე წაიკითხავს რეფერატს პროფესორ კოხის ლიმფით სიჭლექისა და სიჭლექის სიწყილის წამლობის შესახებ ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში. ამავე სხდომაზე ბ-ნმა მაისურიანცმა უნდა აუხსნას კრებას, პროფესორ კოხის ლიმფით წამლობისათვის ავადმყოფებისაგან იღებს, თუ არა ფულს და თუ იღებს რამდენს. ჩვენის შენიშვნის დაბეჭდვის შემდეგ—კავკასიის სამკურნალოს გამგეობამ ამოირჩია ერთი წევრი და მიანდო გამოძიება ამ საქმისა. სამკურნალოს საზოგადოების სხდომა, ვგონებთ, თებერვლის პირველშია დანიშნული.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას თავისს ხარჯთ-აღრიცხვაში ამ წელს გადაუდვია 1,200 მანეთი, რათა ამ ფულით ტფილისის საქალაქო სამკურნალოსთან გაჰმართონ განყოფილება სულით ავადმყოფებისთვის ხუთის სნეულის მოსათავსებლად. ხოლო ტფილისის პირველ დაწყებით სასწავლებლისათვის ჩვენს ქალაქის გამგეობას გადაუდვია ამ წელს 12,815 მანეთი, ე. ი. 815 მანეთით შარშანდელზე მეტი, რომ ამ ფულით ზემოხსენებულს სასწავლებლებს სხვა განყოფილებანიც მიემატოს.

*** ოფიციალურ წყაროდგან შევიტყეთ, რომ მეორე გამოცემა „Русское Слово“-სი, რომელიც შედგენილია ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ, მთავრობას მოუწონებია, როგორც რუსულის ენის სახელ-მძღვანელო (учебное руководство) ქართულ სკოლებში სახმარებლად. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სამოსწავლო წიგნების მოწონება სამ ხარისხოვანია,—მცირე ხარისხი ისაა, როცა წიგნს იწონებენ როგორც მაშველებელს (пособіе), საშუალო ხარისხი—როგორც სამოსწავლო მაშველებელს (учебное пособіе), ხოლო უმაღლესს ხარისხს შეადგენს, როცა წიგნს სახელმძღვანელოდ იწონებენ. სწორედ ეს უმაღლესი ხარისხი ნარგუნები აქვს „Русское Слово“-ს. ამ უმაღლესვე ხარისხით მოუწონებია ხსენებული სახელმძღვანელო სასულიერო მთავრობასაც და დაუდგენია,—საქართველოს საექსარხოსოს ყველა არქიელებს მიეწეროს ყველა სასულიერო და სამრევლო სკოლებში რუსულის ენის სახელმძღვანელოდ იხმარონ „Русское Слово.“

*** გუშინ-წინ, სამშაბათს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა მესამედ ლაზარიშვილის პიესა „მტარვალი“ ბ-ნ კანდელაკის საბენეფისოდ. ბ-ნი კანდელაკი სინიდისიერი და დიდად გამოსადეგი არტისტია და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ხალხს ბევრი დაესწრო. ამ ხელად როლები სხვა ნაირად იყო განაწილებული—ალექსის როლს თამაშობდა ვ. გუნია და თვით დედისას—ქ-ნი ტარიელოვისა, თუმცა ამ ახალმა განაწილებამ როლებისამ, უარტისტობით გამოწვეულმა, პიესა თუ უკან არ დასწია, წინ არაფრით წასწია. ბ-ნს გუნიას, მაგალითებრ, არა უჭირდა-რა ალექსის როლში, ზოგიერთგან თითქოს უფრო ჯეროვანად და ზომიერად ეჭირა თავი, ვიდრე იმის წინა მოთამაშეს, მაგრამ სამაგიეროდ თავისის როლისა ერთი სიტყვა არ იცოდა და წამ და უწუმ სუფლიორს შესცქეროდა, მომაწონდ-რამეო საკვირველია, როცა მოთამაშეები არა ჰყავს დასს, რადა ჰკისრულობს იმისთანა პიესების წარმოდგენას, რომლის ღონეც არ შესწევს. მობენეფისე გუნებაზედ ვერ შეხვდა როლს და უფრო სუსტად წარმოადგინა ამ ხელად, ვიდრე წინად გვინახავს იმავე გიორგის როლში. ჯარი და სხვა მოწვეულნი არტისტნი დიდად სუსტობდნენ, ეტყობოდათ, რომ პიესის წარმოსადგენად სულ არ მომზადებულიყვნენ და ამ პიესის სათამაშოდ არც შრომა დაეხარჯა რეჟისორს და არც გულისყური, ისე თათარიახნად იყო ყოველიფე მიფანიერებულ-მოფანიერებული.

*** დალალების გაძევებამ ჩვენის ქალაქის ბაზრებიდამ ზოგიერთა წვრილმანი საქონლის მოვაჭრენი ცოტა არ იყოს უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც ამათ გარდა თათრული ენისა სხვა ენა არ იციან და ხშირად უძნელდებათ მუშტრებთან ლაპარაკი და საქონლის ყიდვაზე მორიგება. ამის გამო ისინი იძულებულნი შეიქმნენ ეთხოვათ ქალაქის საბჭოსათვის, რომ ნება მოგვეცით ავირჩიოთ დალალებს შორის უფრო სანდო კაცნი, რიცხვით ოც-და-ხუთნი და დავაკისროთ რომ საბჭოს მიერ ზონარ გაყრილსა და ბეჭედ დასმულს დავთარში აღნიშნონ წარმოება საქონლის ვაჭრობისა, სახელი და გვარი როგორც გამყიდველთა, ისე მუშტართა და აგრეთვე ისიც თუ საქონლის ფასიდამ რა % იღებენ დალალობისთვისო. აუცილებლად საჭიროა ასეთის წესის შემოღება, რადგანაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მყიდველი საქონლის პატრონს მხოლოდ ბეს აძლევს და დანარჩენი ფასის მიცემას კი უხანგრძლივებს რამდენიმე თვეობით და ხშირად წლობითაც. დალალები-კი ასეთს საქმეში პასუხის გებას არ კისრულობენ. თუ ზემო აღნიშნული წესი შემოიღეს, დალალი ვალდებული იქნება პასუხი აგოს საქონლის პატრონთან, თუ მუშტარმა ფული თავის დროზე არ დაუბრუნაო. ქალაქის საავჭრო პოლიცია ამ ჟამად ამ პროექტის შემუშავება განხილვაშია და მანამ-კი დალალობა ბაზრებში აღკრძალულია.

*** მომავალს კვირას, 3 თებერვალს, ტფილისის არტისტთა საზოგადოებაში დანიშნულია წარმოდგენა, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ღარიბთა ღამის გასათევ სადგურის აშენებას ტფილისში. წარმოადგენენ ერთს მოქმედებიან კომედიას და სხვათა შორის შეასრულებენ რამოდენსამე სცენებს ჩაიკოვსკის ახალი ოპერიდამ „ყვავის ქალი“ („Пиковая дама“).

*** თელავი: 26 ამ თვისას, თელავის მაზრის მარშლის მეუღლის კნ. ბ. ჭავჭავაძისა და სხვათა მეთაურობით გამართულ იქმნა ბალი თელავის წმიდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში იმავე სასწავლებლის სასარგებლოდ. თელავის პატარა საზოგადოება ამისთანა საქველ-მოქმედო საქმეს მეტად გულ-მხურვალედ ეკიდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიაც არ დასტოვა უყურადღებოდ ასეთი სასარგებლო საქმე. საზოგადოება ძლიერ ბლომად დაესწრო და საკმაოდ ნასიამოვნებიც დარჩა. მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ახალგაზდობა თუ თამაშით სტკბებოდა, ხანში შესულები ყურებითაც კმაყოფილნი დარჩნენ. თვითონ დარბაზიც ლამაზად იყო მოწყობილი, ბუფეტიც მშვენიერად ჰქონდათ შემკობილი. ეტყობოდათ, რომ თავდარიგის მიმცემნი ამ საქმეს გულ-გრილად არ მოჰკიდებოდნენ. თუმცა წმიდა ნინოს სასწავლებლის დარბაზი კარგა მოზრდილია, მაგრამ საზოგადოებას, სიმრაელისა გამო, სიიწროვე აწუხებდა. საზოგადოება დილის ხუთ საათამდე არ დაშლილა. შემოსავალი ბილეთების გაყიდვისა და ბუფეტის ნავაჭრი 500 მანეთამდე შესდგა.

*** გაზ. «Рус. Вѣд.»-ი ამბობს, რომ ესრედ-წოდებული „ქართული საღამო“ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის დანიშნულია წელს მოსკოვში 31 იანვარს „რუსეთის“ სობრანიის დიდს დარბაზშიო.

*** „Новости“ ამბობს, რომ ამ დღეებში დაიბეჭდა საინტერესო წიგნი ე. ს. კრიჟენკოსიო: „Поѣздка на годъ Россіи въ 1888 году.“ ავტორი ამ წიგნში აღგვიწერს ცხოველის ენით მათ უდიდებულესობათა მოგზაურობას. რუსეთის სამხრეთად და გვიხატავს კავკასიის მდიდარს ბუნებასაო. ამას გარდა, ამ წიგნის შემწეობით შევიძლიან გავიცნოთ ზნე-ჩვეულებანი კავკასიისა და ამიერ კავკასიისა და მათის წარსულის თავ-გადასავალიო. წიგნი ძრიად კარგის ენით არის დაწერილი და მეტად ადვილი და სახალისო საკითხავიაო.

*** ტფილისში განიზრახეს, სამოსამართლო პალატის უფროსის თავსმჯდომარის ს. ს. გონჩაროვის თაოსნობით, დაარსება თავ-შესაფარისა აღსაზრდელად მცირე-წლოვან დამნაშავეთა. ამ კეთილის საქმისათვის საკმაოდ ბლომად შესდგა შემოწირული ფული, რომელიც დღეს თითქმის რვაასს თუმანზე მეტია. ეხლა კიდევ, როგორც შეუტყვია „Тиф. Лис.“-ს, ამავე საშადლო საქმისათვის ასი თუმანი შეუწირავს იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს.

*** იმავე გაზეთს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების რეფერატი იმის შესახებ რომ „აღკრძალული იქმნას ექვსის თვეის დამაკებულ ძროხების დაკვლაო“. მთელის რუსეთის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წარმომადგენელთა კრებამ მოიწონა და დაადგინა, რომ ეშუამდგომლოთ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე ყველგან აღკრძალოს კანონ-მდებლობითის წესით ექვსის თვეის დამაკებულ ძროხების ხოცვაო, რად-

ცა თუ არა მარჯვკალს ქალის გათხოვების იმედი, ესე იგი ან აგრეობა ხომ არ უთქვამს, ან ნიშანი ხომ არ გამოურთმევიაო. თუ ქალის პატრონს მთხოვარი დაუმტკიცებდა „აგრეობის თქმას“, მაშინ ბჭეები ქალს მიუსაჯავდნენ, „აკუთნებდნენ“ მთხოვარს. თუ მომჩივანი ქალის პატრონს ვერ დაუმტკიცებდა, რომ „აგრეობა“ როდისმე ეთქვა, მაშინ ბჭეები იმას ეტყოდნენ უარს და ქალის პატრონს ნება ეძლეოდა ქალი სხვისთვის მიეთხოვებინა. აგრეთვე თუ ორი მთხოვარი შეეცილებოდნენ ერთმანეთს და სამართალს მიჰმართავდნენ, ეს უკანასკნელი ქალს იმას „აკუთვნებდა“, ვისთვისაც წინ და წინ ქალის პატრონს „აგრეობა“ ეთქვა. საქმროს „სიავ-კარგესა“ და ქალის სურვილს ბჭეები არც ამ შემთხვევაში მიჰხედავდნენ.

ამ ნაირად ძველს დროში ფშაველის ქალი სადაო საგნად ხშირად გახდებოდა ხოლმე და თვით ამ დავის გადაწყვეტაში-კი არავითარი ხმა არა ჰქონდა; იგი მამის სახლში თავისის ბედის საქმეშიაც მამის მორჩილი და მისის სურვილის აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო და ქმართან—ქმრის მორჩილი და მისის სურვილის აღმასრულებელი. რა კი ქალის პატრონი ნიშანს დაიჭერს, მთხოვარის საქმე საბოლოოდ გარიგებულად ითვლება და მას შემდეგ დანიშნული ქალი და ვაჟი „ცოლ-ქმრად“ ითვლებიან. ქორწინებამდის ქალი ითვლება „შინ მისაყვან ცოლად“, ხოლო ქორწინებას შემდეგ „შინ მიყვანილად“. შინ მიყვანილის ცოლის დამწუნებელს მამაკაცს შეეძლო „დაეწუნა“ დიაცი, დაეთხოვა თავის სახლიდგან და თითონ სხვა „მოენახა“ „თავის გუნებისა“, დაწუნებულისთვის ხუთი ძროხა ან ამის ნაფასური მიეცა „სამწუნობროდ“, ხოლო შინ მისაყვან დედაკაცის დაწუნების ნება ჰქონდა სამწუნობროს გადაუხდელად.

როგორც ზევითაც ნათქვამია, დედაკაცს არა შემთხვევაში არა ჰქონდა ნება ქმრის დაწუნებისა. თუ დიაცი მაინც და მაინც თავს გაეიდოდა და ქმარს დაიწუნებდა, „გაუვარდებოდა“, მაშინ ქმარს ნება ეძლეოდა გავარდნით შეურაცხ-მყოფილი დიაცი დაესაჯა ცხვირის მოჭრით, ან ხელფეხის დაშავებით „გაეხაიბრა“. ცოლის მიერ დაწუნებული მამაკაცი შეურაცხყოფილად და შერცხვენილად ითვლებოდა თემში; არამც თუ პირადად თითონ, მთელს მისს საგვარეულოსაც-კი ეცხობოდა ეს ჩირქი. ამისთვის მოვალე იყო დიაცისა და მისის წამყვანისთვის მაგიერი გადაეხადა და ამითი აღედგინა თემ სოფლის წინაშე თავისი ავტორიტეტი, „მოეხადა სირცხვილი“. სირცხვილს მხოლოდ ის გარემოება მოჰხდიდა ქმარს, თუ იგი გაახაიბრებდა თავ-გასულს დიაცს, თავისის „უნამუსობისა“ და თავ-გასულობის ბეჭედს ცხვირის მოჭრით და ან ხელფეხის გახაიბრებით სამუდამოდ ალუბეჭდავდა სხეულზედ.

ქმრიან ქალის, ანუ საქმროს ცოლის წაგვრით მიყენებული შეურაცხება არ გამოისყიდებოდა ისეთის პატივის დაურვებით, როგორიც, მაგალითად, ქალ წაგვრილის დედ-მამის შეურაცხება გამოისყიდებოდა ხარ-ცხვარით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. დედმამა ქალის ასე თუ ისე გათხოვებაში მაგდენს განსხვავებას არაფერსა ჰხედავდა და არცა ჰხედავს. ქალს, იმათის აზრით, ერთი ქმარი ეკუთვნის, თითონ გაჰყვება ქალი იმას, თუ ის მოიტაცებს ძალით, ან მშობლები ნება-ყოფლობით მიათხოვებენ, ისინი ყველა ამას ადვილად შეურიგდებიან. მოტაცებულის ქალის „დედ-მამა“ „პატივს“ აიღებდა და მორჩებოდა საქმე. პატივის აღებაც ხშირად „ქვეყნის სათვალფროდ“ მოხდებოდა ხოლმე, რომ ქალის მშობლებს, მეტადრე მამას, „სოფელმა არ დასძრახოს“,—უთაური კაცია, ცოლ-შვილის პატრონობა არ შეუძლიან, ქალი მოსტაცეს და პატივიც არ დასდეს, სასაცილოდ აიგდესო.

სულ სხვა მოვალეობა აძევს ქმარს, ანუ საქმროს, თუ იმას დიაცი დაიწუნებს და ან სხვა შეეცილება და წაართმევს. როგორც დიაცისაგან დაწუნებული ვაჟკაცი, ისეც ცოლ-წაგვრილი თავისის საგვარეულოთურთ შერცხვენილად და შეურაცხებულად ითვლებოდა თემის თვალში და ამისთვის მთელს საგვარეულოსაც ერთად ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რომ „გაემარჯვა“ ქალის დანარჩუნებით. ამ ნაირად შეტაკებული საგვარეულოები ერთმანეთის მოსისხლე მტრები ხდებოდნენ და „გამარჯვებაც“ ხშირად იაფად არ უჯდებოდა გამარჯვებულს მხარეს, მაგრამ რას იზამდა, როცა „სირცხვილი კარებზედ მიადგებოდა“, ბრძოლის მეტი წამალიც აღარ ეშოვებოდა სირცხვილის თავიდგან ასაცილებლად.

ძველს დროში ფშაველს ცოლის წაგვრისა და ყველა მის მომდევნო სირცხვილისა და მოცილესთან მტრობის თავიდგან ასაცილებლად ერთი ღონისძიება ჰქონია, რომლითაც მოცილეებს იშორებდა. როდესაც ვაჟი რომლისამე ქალის ცოლად შერთვას მოისურვებდა და ქალის პატრონს მიუგზავნიდა შუაკაცს, თუ გაიგებდა, რომ შუაკაცის მიგზავნას იმავე განზრახვით სხვაც აპირებსო, ის მაშინ ქალს „კვეთილში ჩასვამდა“ და ამით აცილებდა ქალს სხვა „მთხოვარსა“

გან ჯერ ერთი ასეთის ძროხის ხოცი მავნებელია და, მეორე, იმათს ხოცვას ზარალი მოაქვს მეურნეობისათვისაცაო.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ე ამბობს, ჩვენ შევიტყეთ სარწმუნო წყაროდამ, რომ სახელმწიფო ბანკმა დაამტკიცა განკარგულება თავისის ტფილისის განყოფილებისა, რომლის ძალითაც ამ განყოფილებას შეუძლიან ანდოს ათას თუმნადე ფული ანუ გაუნაღდოს ამდენისავე ვექსილები ქვა-გუნდის მრეწველს ბ-ნს ნ. ბ. ღოლობერიძეს თავის სამრეწველო საქმეების წარსამატებლად. გაზეთი დიდის სიამოვნებით ეგებება ამ ამბავს და დასძენს, რომ ამისთანა შემწეობით შეეხმის ფრთა ჩვენის ქვეყნის ნორჩ მრეწველობას, რომელსაც სულსა ჰხუთავს კერძო ფულიანი კაცთა ძვირი კრედიტიო. ღვინის მკეთებელს ფირმას „თ. ზ. ა. ჯორჯაძე და ამხ.“ ძლივს მიეცა სახელმწიფო ბანკისაგან ასეთი კრედიტი, რომელიც წინად რვაას, თუ ცხრაას თუმნამდე იყო და მხოლოდ დღეს ათას ხუთას თუმნამდეაო.

*** გუშინ-წინ, 29 იანვარს საზაფხულო თეატრში ორკესტრის დირიჟორის ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის ბენეფისი იყო დანიშნული. საბენეფისოდ უნდა წარმოედგინათ მესამედ ახალი ოპერა ბ-ნის მობენეფისესი „აზრა“, მაგრამ, რადგან ამ ოპერაში უმთავრესის როლის ამსრულებელი ქ-ბნი ზარუდნაია ავად გახდა, „აზრა“ გადაიდო და მის მაგიერ წარმოადგინეს „მაზეპა“, ოპერა ჩაიკოვსკისა. მიზეზი ზარუდნაიას ავადმყოფობისა, როგორც ტფილისის გაზეთებშიაც იყო მოხსენებული, ის გარემოებაა, რომ ამ ორის დღის წინად ეტლის ცხენები დაფრთხნენ და ქ-ბ-ნი ზარუდნაია ეტლიდამ გადმოვარდა, თუმცა არა დაშავებია-რა.

*** გაზ. «მშაკს» სწერენ ბათუმიდამ, რომ 26 იანვარს ნავთით დატვირთული ნავი, რომელშიაც 30 მუშა კაცი იჯდა, მიდიოდა ქარხნებიდამ გემისაკენაო. გზაზედ ნავი დაეჯახა ერთს უცხოეთის დიდს გემს და ჩასძირა. ათი კაცი, როგორც იყო, გადაარჩინეს, დანარჩენი ოცი კაცი კი დაირჩოო.

*** სინოდალურ კანტორის მოხელემ ზაქარია ჩიკვაიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემთანვე სამსახურში მყოფი რომან ჭინჭალაძე 28 ამ თთვისას ჩემთან ღამის გასათევად მოვიდა. დილით როცა გამომეღვიძა, შკაფი ღია დამხვდა და წაელო 62 მან. 5 კაპ. ფულად, მომგებიანი ბილეთი, ორი ოქროს ღილი და ბეჭედი. დამნაშავეს დაეძებენ.

## ქალაქის არჩევანები

### III

ჯერ სულ სამი კრება ჰქონდა ახალს საბჭოს და მაინც ამ სამის კრებით ისეთი თავისებური ხასიათი გამოიჩინა, რომ სრულებით განსხვავდება ძველ საბჭოსაგან. აქამდე ისე იყო ხოლმე საქმე, რომ თვით-მართველობაში თითქმის სრულებით იკარგებოდა საბჭო და პირველი ადგილი ეჭირა გამგეობას. რასაც გამგეობა მოიწადინებდა, თითქმის ყოველთვის იმაზე დაიყაბულებდა საბჭოს. მართალია, თითოოროლა ხმა წინაამდეგი გაისმოდა აქა-იქ, მაგრამ ეს ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა და იკარგებოდა მწყობრს თანხმობის მორევში. ამისი მიზეზი სხვათა შორის იყო ის, რომ თორმეტის წლის წინად გამგეობის სათავეში ჩადგნენ სრულებით ახალგაზდა, ჭკვიანი და საქმის მოყვარე კაცები, ბ-ნი მატინოვი, ბ-ნი იზმაილოვი და აგრეთვე დანარჩენნი წევრნი გამგეობისა მაშინ ყმაწვილ-კაცურის ღონით შეეჭიდნენ საქმეს. ეს ახალგაზდობა ცხარედ მოეკიდა თავისს მოვალეობას და, მართალი უნდა სთქვას კაცმა, სრულებით უცვალა ფერი ტფილისის თვით-მართველობის მრავალ საქმეს, შემოსავალ-გასავალსა და მდგომარეობას ქალაქისას. რაკი ამ გამგეობამ ასეთი თვალსაჩინო უნარი გამოიჩინა, საბჭომ სრულებით მიუშვა სადავე და მიეცა განცხრომას. სრული ნდობა ჩამოვარდა გამგეობასა და საბჭოს შორის, მხოლოდ ცუდი ის იყო, რომ უმოქმედო საბჭომ ვერ იშვენია თავისი საპატიო ადგილი და ხელით სატარებელი გაუხდა გამგეობას. ამისი შედეგი იყო ისა, რომ საბჭო მხოლოდ ფორმის გულისთვის დაიარებოდა კრებაზე, რადგან კანონი მოითხოვს, რომ ყოველივე საქმე ჯერ უნდა დაამტკიცოს საბჭომ და მხოლოდ შემდეგ შეუძლიან გამგეობას მისი აღსრულებაში მოყვანა. ხმოსნები შეიკრიბებოდნენ, მოისმენდნენ საგანსა და მაშინვე დაამტკიცებდნენ. ამის გამო ბევრმა ხმოსანმა სრულებით არ იცოდა ქალაქის ავ-კარგიანობა, მისი საჭირბოროტო საქმეები,—რად გვინდა ვიცოდეთ, როდესაც ასეთი ნიჭიერი ხალხი გვისხედს გამგეობაშიო, ეგენი ცუდს არას მოიქმედებენო. ცუდი მხარე ასეთის დაბრმავებულის ნდობისა ის იყო, რომ მხოლოდ გამგეობის ორ-სამს კაცს დაეწვა მთელი საქმე ქალაქის თვით - მმართველობისა და არა ვითარ დახმარებას არა ჰხედავდა საბჭოს მხრივ. რასაკვირველია, ათასჯერ მომეტებული საქმე გაკეთდებოდა, რომ საბჭოს გამოეჩინა მეტი და შესაფერი სამსახური გაეწია ქალაქისთვის. ამ შემთხვევაში მას ექნებოდა ძალა მთელის 72 ხმოსანისა, რომელნიც ერთად უფრო მომეტებულს გონიერებას, გამოცდილებას და მოხერხებას გამოიჩენდნენ, ვიდრე ორი და სამი კაცი ცალკე.

სრულებით სხვა ფერისაა ახალი საბჭო. იმის მომეტებულ ნაწილს ეტყობა ცხარე სურვილი საკუთრივ ემსახუროს ქალაქის კეთილდღეობას, თითონაც დასდოს რამ ამაგი დედა-ქალაქს, შეიტყოს მისი კარგი და ავი, განაძლიეროს, რაც მოსაწონებელია, და დააუძლუროს ის, რაც აფერხებს ქალაქის წარმოებას. ახალ ხმოსნების ხალისი გაამხნევებს ძველ ხმოსნებს, გააღვიძებს ცნობის მოყვარეობას თვით ქალაქის მცხოვრებლებისას და ამ სახით არა თუ ყოველს ხმოსანს ზედმიწევნით ეცოდინება ამ მოკლე ხანში ქალაქის უმთავრესი საქმეები, რომელიც აქამდე თითქმის არც ერთმა ძველმა ხმოსანმა არ იცოდა, არამედ ქალაქის მცხოვრებნიც შეიტყობენ თვით-მართველობის ვითარებას. საქმის რიგიანი წაყვანაც მხოლოდ ამ საზოგადო მონაწილეობით შეიძლება. ასეთი ნიშანი ეტყობა ახალს საბჭოს და ამისი უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძებოთ, ჩვენდა სასიქადულოდ, იმ ახალ ხმოსანთა შორის, რომელთაც დღეს დაიჭირეს ადგილი საბჭოში და რომელთ გუნდსაც ოპოზიციის სახელი დაარქვეს. ეს გუნდი თანდათან ჰპოულობს მომხრეებს თვით მოწინაამდეგეთა შორის, რადგან ამ უკანასკნელთათვის აშკარა გახდა ის წყურვილი უანგარო სამსახურისა, რომელიც დღეს მთელს საბჭოში ასე ცხადად მეტყველებ[ს]. ეს სასიქადულო მეტყველება დაგვიმტკიცა ახალ საბჭოს სამმა კრებამ.

მეგობარი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ამ ჟამად დიდი ლაპარაკია ჟურნალ-გაზეთებში ქალაქის დებულების განხილვისა და შეცვლა-შევსების გამო. ეს საგანი ცხოვრებამ წამოაყენა წინ და იმდენად დამშიაც არის ნასული, რომ დღეს თუ ხვალ, გადაწყვეტაზეა მიმდგარი. შეიძლება ახალი, შეცვლილი დებულება ქალაქისა ბევრს ღირსებასთან ნაკლსაც არ იყოს მოკლებული, მაგრამ მაინც ყველა იმის მოლოდინშია, ძველი ყველას მიერ დაწუნებულია და უვარგისად ცნობილი. ამ საქმეს მთავრობამაც მიაქცია თავისი ყურადღება, შეადგინა პროექტი და აი ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას განსაკუთრებული კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ფონ-პლევეს თავმჯდომარეობით. გაზ. „Пет.Вѣд.“-ს თითქმის დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, თუ რა მხრით უფრო იქმნება შეცვლილი და რითი განესხვავება ახალი დებულება ძველსაო. აი რას ამბობს ეს გაზეთი:

„წინარეს ყოლისა რეფორმა აწინდელს ამომრჩეველთა კრებას მიაქცევს ყურადღებას, ვინაიდგან ეხლანდელის წესით, როცა ამომრჩევლად ყოფნის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ უძრავ ქონების პატრონსა და ვაჭრობის მოწმობის მქონეს, ამომრჩევლებად უფრო ვაჭრები არიან და ქალაქის სხვა წოდება-კი ამ საქმეს გამოკლებულია. ამას გარდა სცდილობენ ისე მოახერხონ, რომ ამომრჩეველთკრება ისეთი მრავალ-რიცხოვანი არ იყოს, როგორც ეხლაა, რადგან არჩევანი მეტად ძნელდება და ბევრჯელ ამის მიზეზით წესიერად ვერა სწარმოებს. უფრო ექმნება ნათხოვი იმგვარობასაც, რომ შემცირდეს რიცხვი არა მართლ-მადიდებელ ხმოსნებისა. ეხლანდელის საქალაქო დებულების ძალით, არა-მართლ-მადიდებელი ხმოსანთა რიცხვი საზოგადო რიცხვისას ერთ მესამედზედ მეტს არ უნდა შეადგენდეს, მაგრამ ეს კანონი აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული.

არა მართლ-მადიდებელად აქ იგულისხმებიან ებრაელნი, მაჰმადიანნი და სხვა-და სხვა მწვალებელნი. დასასრულ პროექტი სცდილობს:

1) შეამციროს საბჭოს ხმოსანთა რიცხვი, რომელიც ეხლა 72-დგან 250-მდე ხმოსანს შეიცავს; 2) დააწესოს გამორკვეული ვადა საბჭოს სხდომისათვის ისე, რომ სატახტო ქალაქებს კვირაში ერთის, ან ორის სხდომის გამართვის ნება უნდა ჰქონდეს, პირველ ხარისხოვან დიდს ქალაქებს კვირაში ერთის სხდომისა და დანარჩენთ ორ კვირაში ერთისა; 3) აღკრძალოს ხმოსნად ამორჩევა ისეთის კაცისა, რომელიც თვით ქალაქის გამგეობაში ჰმსახურობს და ისეთს დაწესებულებაში, რომელიც ქალაქის გამგეობას ექვემდებარება; 4) აღუკრძალოს ხმოსნებს დასწრება იმ საქმეთა განხილვა - განხჯობის დროს საბჭოს სხდომაზედ, რომელიც იმათ კერძოდ ასე თუ ისე შეეხება? 5) ჩამოართვას უფლება ხმოსნებს უდროოდროს ასტეხოს კრებაზედ რომელიმე საქმე, დიდი ბაასი და ჩოჩქოლი გამოიწვიოს და ამით შეაფერხოს მიმდინარე საქმეთა გადაწყვეტა; 6) დააწესოს პასუხის გება იმ კომისიებში ამორჩეულ წევრთა, რომელნიც ნაკისრს მოვალეობას და მინდობილებას მძიმედ და უხალისოდ ასრულებენ; 7) დაადგინოს ახალის წესით მოხსენების გზავნა ქალაქის საქმეთათვის დაწესებულს საგუბერნიო სამმართველოში; 8) დააწესოს შუათა ჯამაგირები ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთათვის, რადგან ეხლა ისინი გაცილებით უფრო მეტს ჯამაგირს იღებენ, ვიდრე თვით ქალაქსა აქვს შეძლება, და 9) დააკანონონ, რომ პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი ის ხმოსანნი, რომელნიც საბჭოს კრებებს არ ესწრებიან, იმ გვარად, რომ თუ სამჯერ ზედი-ზედ მოსცდა კრე-

---

და თავისს თავს მოცილეს. თვით კვეთილში ჩასმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქალის საქმრო გამოაცხადებდა საჯაროდ, რომ ესა-და-ეს ქალი ჩემი საცოლოა, მისი მთხოვარი მე ვარ და თუ ვინმე შემეცილა, ის იქნება ჩემი მოსისხლე მტერი და ეხლავე მტრობას ვუცხადებო. ამას შემდეგ იშვიათად-ღა გაჰბედავდა ვინმე ქალის თხოვნასა და შეცილებას და თუ გაჰბედავდა, ისიც თავზედ ხელაღებული, რომელსაც არც მოსისხლე მტრის შიში ექნებოდა და არც ხალხის ბჭეთა სამართლის რიდი, რომლებიც ქალს კვეთილში ჩამსმელს აკუთვნებდნენ. კვეთილში ჩასმაც დასწრებაზედ იყო და რაკი ერთი ვინმე „კვეთილს გამოაცხადებდა“, სხვას ამისი ნება აღარა ჰქონდა, ხოლო თუ კვეთილს ორნივენი ერთს დროს გამოაცხადებდნენ, საქმე მაშინ უფრო გამწვავდებოდა, კვეთილში ჩასმულ ქალის შერთვის ნება მარტო კვეთილში ჩამსმელსა ჰქონდა და სხვას არავის. კვეთილში ჩასმული ქალი, თუ კვეთილში ჩამსმელს არ მისთხოვდებოდა, სამუდამოდ რჩებოდა გაუთხოვარი.

თუ ქალი ორ მხარეს შორის საცილობელ საგნად გახდებოდა და იმის გამო მოცილენი ერთმანეთს გამოეკიდებოდნენ და ან ერთი მთხოვარი გამოეკიდებოდა ისეთი, რომლის ქმრად შერთვაც ქალის სურვილი არ იქნებოდა, ამ შემთხვევაში ქალს, თუ იგი თავისს ხვედრს არ დაემორჩილებოდა, ერთად-ერთი ღონისძიება ჰქონდა თავიდგან მოეშორებინა ორივე ერთმანეთთან მოცილე მთხოვარიც და კვეთილში ჩამსმელი საქმროც. ეს ღონისძიება ქალის მიერ თავისისავე თავის კვეთილში ჩასმა იყო. ქალი რომელსამე სალოცავში მივიდოდა და აღთქმას იტყოდა, სამუდამოდ ხელს ვიღებ გათხოვებაზეო, ქალწულად უნდა დავრჩეო. „შესწირავდა თავს“ სალოცავს და გახდებოდა „მოწმინდარი“. მაშინ მოცილეთა ცილობასა და ვაჟისაგან ქალის კვეთილში ჩასმას თავის თავად ბოლო ეღებოდა უსისხლოდ და ქალი თავისუფალი რჩებოდა. ქალი იმ ღონისძიებას მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში მიჰმართავდა, რადგანაც ეს აღთქმა იმისთვისაც საძნელო იყო იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში უნდა „გამორჩეულიყო“ ქვეყნიდგან, უქმარ-შვილოდ, „უბედურად დაბერებულიყო“ და ბოლოს მოხუცების ჟამს „სხვის შესანახავ-დასამარხავად გამხდარიყო“, როგორც უქმარ-შვილო.

„უქმარ-შვილოდ“ დაბერებასა და „მოწმინდარად“ ხატის ქალად გახდომას უსიამოვნო მთხოვარის ასაცილებლად ქალი თუმცა იშვიათად ასრულებდა, მაგრამ, თავის დასახსნელად და მოდავეთა გასაშველებლად, ის ამ უფლებით ხშირადა სარგებლობდა და ძალიან ხერხიანადაც. თუ ორისავე მთხოვარის, ან ერთ-ერთის მათგანის თავიდგან მოშორებას მოისურვებდა, ხმას ავრცელებდა, რომ თუ ეს-და-ეს მთხოვარი ჩემზე ხელს არ აიღებს, თავს არ დამანებებს, მაშინ წავალ და ამა-და-ამ ხატს შევწირავ თავსა,—მერე, თუ კაცია, მოვიდეს, იქიდგან გამოშიყვანოს და ცოლად წამიყვანოსო. ქალმა კარგად იცოდა, რომ მისი მთხოვარი ხატისთვის თავ-შეწირულს ქალს ხელს ვეღარ შეახებდა და ამითი ხატის „მეხანათი“ და წინააღმდეგი არ გახდებოდა, განათავისუფლებდა, თუ ძალით მოტაცებასაც ვერ მოახერხებდა ხატისთვის „თავ-შეწირვამდე“ და გათხოვებამდე. „ხატში შესულისა“ და თავ-შეწირულის ქალის გათხოვება აღარავის შეეძლო და ვერც თემის ბჭეები და ხევის ბერები-ღა დაარღვევდნენ და გააუქმებდნენ „თავ-შეწირვას“ *).

როგორც ქალის მთხოვრებისაგან თხოვნის გამო ერთმანეთთან გადამტერება და საქმროსგან ქალის „კვეთილში ჩასმა“, ისე ქალის მიერ არა საამოვნო მთხოვრების თავიდგან ასაცილებლად „ხატში შესვლა-შეხიზნება“ და „თავ-შეწირვა“ უფრო ძველის დროის ჩვეულებაა და ამ ჩვეულებას ჩვენს დროში აღარავინ მისდევს. ცოლქმრობის საქმე „ქალ-ვაჟის“ სურვილზეა დამოკიდებული; არც ქალისა და არც ვაჟის „პატრონნი“ ახალგაზდას დაუკითხავად და ნება-დაურთველად ქორწინების საქმეს არ დაიწყებს. წინად-კი იმათი სურვილი როგორც „დედ-მამისგან“, ისე „თემის სამართლისაგან“ უარყოფილი იყო, მეტადრე ქალისა, და თვით ვაჟიც „თავის ცოლიანობის“ საქმის გარიგებაში არ ერეოდა, თუ „ნათხოვ“ საცოლეს წაგვრის სირცხვილი კარზედ არ მიადგებოდა და არ აიძულებდა, რომ ჩარეულიყო ამ საქმეში, თავისის მოწინააღმდეგესათვის წინააღმდეგობა გაეწია და ამითი დაეხსნა თავი სირცხვილისაგან.

(შემდეგი იქნება)

*) ზოგიერთი „ხატში შესული“ ქალი უსიამოვნო საქმროს ასაცილებლად დედაკაცობას უარ-ჰყოფდნენ, მამაკაცურად იცვამდნენ, მამა-კაცურ ყოფა-ქცევას იწყობდნენ და მათთან „თემ-სოფელში“ და ჯამაათში იყვნენ მათებურადვე შეიარაღებულნი. ამ გვარად გამამაკაცებულ დედაკაცთაგანი უკანასკნელი ამ ათის წლის წინად გარდაიცვალა სოფელ ხუშ-ხევში და სახელად ცუცა ერქვა.

ბას და არც პატივ-სადები მიზეზი დასასჯელა ასეთის საქციელისა, ხმოსნობის ხარისხი ჩამოერთვასო.

ეს არის, აი ყოველივე ეს უნდა განიხილოს კომისიამ დასაბოლოოდ შალაშინი გაჰკრას სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლად წარმოდგენამდე. კარგი იქნება, რომ ამ კომისიამ ყურადღება მიაქციოს იმ ჟურნალ-გაზეთების წერილებსაც, რომელიც ამ საგანს შეეხებოდნენ და სცდილობდნენ აღენიშნათ და გამოერკვიათ ნაკლულევანებანი აწ მოქმედ საქალაქო დებულებისა.

◆◆

## უცხოეთი

ინგლისი. გერმანელმა ბუსმა დაიწყო ფულის მოკრება ინგლისში იმ აზრით, რომ დაეაარსებ ისეთს თავ-შესაფარსა და ფერმებს, სადაც ადვილად შესაძლებელი შეიქმნება ავ-ზნიანის და დამნაშავე ხალხის მოჯრულება, გაადამიანება და კაცად გამოყვანაო. ფული მოგროვდა სულ ერთ მილიონამდე. ამ დღეებში გენერალი ბუსი კიდეც შესდგომია თავის განზრახვის ასრულებას. გენერალს ხელი მოუწერია ოქმზე, რომელშიაც სწერია, რომ შეგროვილი ფული ჩააბარა ამანა-და-ამან და ამ ხელ-წერილსა სდებს, რომ ჩაბარებული ფული მოიხმაროს მხოლოდ იმ თავ-შესაფართა დასაარსებლად, რომელთა შემწეობითაც მან უნდა განახორციელოს სოციალური რეფორმა. ფულის უკანონოდ დახარჯვისათვის ხელ-წერილით პასუხის მგებელია გენერალი ბუსი. ხელ-წერილის შეცვლა შეუძლიან მხოლოდ კომისიას, რომლის წევრნიც დანიშნულნი არიან სახელმწიფო და გავლენიან კაცთა მიერ.

— ბრიტანიის მუზეიში იპოვნეს ამას წინად თხზულება არისტოტელისა, დაწერილი პაპირუსის ქაღალდზე შეხახებ ათინის სახელმწიფო წეს-წყობილებისა. ეს თხზულება, რომლის გამოც ყველა ძველი მწერალნი ამტკიცებდნენ, რომ არისტოტელისა იყოო, დაკარგული ეგონათ დღემდე. დღეს-კი ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ ახლად ნაპოვნი ხელ-ნაწერი სწორედ ის დაკარგული თხზულებაა არისტოტელისა. ბევრს რასმე თურმე არკვევს ეს ტრაქტატი და სრულიად სხვა ნათელსაცა ჰფენს ათინის სახელმწიფო მოწყობილობის საქმეს. ამ დღეებში ხელ-ნაწერის ტექსტი დაიბეჭდა შენიშვნებით კენიონის მიერ, რომელიც ამ ტექსტის ინგლისურის თარგმანის დაბეჭდვასაც მალე აპირებს.

— მარტში დაიბეჭდება სამ ტომად წერილები და თხზულებანი ჰერბერტ სპენსერისა საპოლიტიკო, სამეცნიერო და საფილოსოფოსო საგნების შესახებ. ამ ტომებში ბევრი ისეთი წერილები მოჰყვება შესანიშნავის მეცნიერისა, რომელიც წინანდელს მის წიგნებში არ ყოფილა დაბეჭდილი.

გერმანია. ერთი გერმანული გაზეთი ამბობს, რომ გრაფ ვალდერზეეს დანიშვნა მეცხრე კორპუსის კომანდირად და დათხოვნა მისი მთავარის შტაბის უფროსობისაგან, გასაკვირველი ამბავი არ არისო. ასეთი დანიშვნა ამაღლებაა კაცისა, რადგან უფროსობა შტაბისა უფრო დაბალი თანამდებობაა, ვიდრე კორპუსის კომანდირობა სამხედრო იერარქიაშიაო. მაგრამ მაინც ვერ ავუქინებთ ამ აზრს. ჩვენ მხოლოდ ასე გვგონია და იქნება საქმე ასე არ არისო.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი-ვენგრიის მწერლობა იმ აზრისაა, რომ ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, ძმის-წული ავსტრიის იმპერატორისა და მემკვიდრე მისის ტახტისა, რუსეთში წავიდა სადარბაზოდ და არავითარი საპოლიტიკო მინდობილობა არა აქვს იმას დავალებულიო. ამის გამო ძლიერ ცხარობს, რომ ზოგიერთი გერმანული გაზეთები სრულიად სხვა მნიშვნელობას აწერენ ამ გარემოებას და ამტკიცებენ, ვითომ ავსტრი-ვენგრიას სახეში აქვს დაუახლოვდეს რუსეთს და გაიმარტოვოს გერმანიაო. თუ-კი ჩვენ არ გვიფიქრია ასე, როცა იმპერატორი ვილჰელმი იყო რუსეთში, ჩვენზე რაღად ჰფიქრობენ, მით უმეტეს, რომ რუსეთის მემკვიდრე იყო ვენაში და ჩვენც სამაგიერო უნდა გადაგვეხადნაო.

◆◆

## დეპეშა

30 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ ერცჰერცოგმა დაათვალიერა აფიცერთა საკავალერიო სკოლა, მიიღო ერმიტაჟში წევრნი სადიპლომატო კრებულისანი და საღამოს ისადილა დიდ მთავარ სერგი ალექსანდრეს ძესთან.

საფრანგეთის სამხედრო კამისიამ დაათვალიერა მაღაზია ნიმუშებისა, რომელიც არის მთავარ საინტენდანტო სამმართველოს სატეხნიკო კომიტეტთან.

გადაწყდა გაკეთდეს ჟანკოი-თეოდოსიის რკინის გზა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს: ხმა არის, რომ ვითომ ციმბირის რკინის გზის გაკეთების საქმე ასე გადაწყდა: თებერვალში გაემგზავრება ორი დასი ინჟინერებისა ერთ ხანად ერთი გემით ვლადივოსტოკს, მეორე ხმელეთით ტომსკს; ადრიან გაზაფხულზე დაიწყება კეთება ორის გზისა, რომელიც უფრო საჭიროა ციმბირისათვის ვაჭრობისა და სტრატეგიის მხრით, სახელდობრ: ტომსკ-ირკუტსკი და ხაბაროვკა-ვლადივოსტოკი; შემდეგ ამ გზებს შეერთვის კრუგო-ბაიკალისა და ციმბირის გზა. გზა განუწყვეტელი შეიქმნება. ტომსკიდამ შემდეგ თავის რიგზე დაიწყება კვლევა-ძიება ციმბირის გზისა და რუსეთის საზოგადო გზების შესაერთებლად და გაკეთდება ახალი გზა ტომსკ-ჩელიაბინსკისა. ამ ჟამად უკვე კეთდება გზა ზლატოუსტიდამ ჩელიაბინსკამდე. ამ სახით ციმბირის გზების კეთება დასრულდება 1894 წელს. ხარჯი ხაზინისა იქნება, დასახარჯავად ნაანგარიშებია 350 მილიონი მანათი. ურალის გზა შეუერთდება სხვა გზებს იმ გზით, რომელიც წავა სადგურ კუშვადამ ჩელიაბინსკამდე, მაგრამ ამ გზას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ექმნება მთა-მადნის წარმოების გაძლიერებისა.

უფროსი მეოთხე სტრელკოვი ბრიგადისა როსტოვცევი დანიშნულ იქმნა სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორად გენერალ ეფიმოვიჩის მაგიერად, რომელიც დაითხოვა სამსახურს შინაურის საქმეების გამო.

სტოკჰოლმი. სოფიო კოვალევსკისა, პროფესორი აქაურის უნივერსიტეტისა დღეს გარდაიცვალა.

პეტერბურგის ბირჟა, 29 იანვარი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გარიგებულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 | 85 | 6 | 88 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 136³/₄ | | 137¹/₂ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 06 | 1 | 08 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 237 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 226¹/₄ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — | „ | — | „ | 215¹/₂ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჟამზე გემები.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
წერა-კითხვის სამართველოს წიგნთსაცავში, ქართველთა წიგნების გამომცემელ წიგნის მაღაზიაში და ზ. ჭიჭინაძის მაღაზიაში

**ანდერძი**

ანტონ II საქართველოს კათოლიკოზისა, სურათით
გამოცემული
დ. ფურცელაძის მიერ
ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და იყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა
სარატოვში.
1891 წლის სეზონი.
გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი,
ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.
სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.
ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.
10—9

**„დასავლეთი“**

ახალი რესტორანი, ვერაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

(40—15)

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძეური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . 9 „ 50 „ | | 5 „ . . . 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . 8 „ 75 „ | | 4 „ . . . 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . 8 „ — „ | | 3 „ . . . 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . 7 „ 25 „ | | 2 „ . . . 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . 6 „ 50 „ | | 1 „ . . . 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

გამოვიდა და იყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ იყიდება: გორში — ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში — თავართქილაძესთან, ქუთაისში — წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში — მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Доз. цен. 30-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.